

*დამტკიცებულია:
სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“
სამეთვალყურეო საბჭოს მიერ,
2018 წ. 4 ოქტომბერი, ოქმი N8*

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ფასწარმოქმნის პოლიტიკა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (შემდგომში - „ბირჟა“), როგორც თვითრეგულირებადი ორგანიზაციის მიერ გაწეული სერვისების ტარიფები დგინდება ბირჟის გენერალური დირექტორის მიერ, წევრ საბროკერო კომპანიებთან კონსულტაციებით და მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ბირჟის წევრების შესახებ დებულების, ბირჟის წესდების და წესების თანახმად.

პოლიტიკის მოქმედების არეალი ვრცელდება ბირჟის ფასიანი სერვისებით მოსარგებლე საბროკერო კომპანიებზე, ბროკერებზე, ემიტენტებზე, ინვესტორებზე, რეგისტრატორებზე, სხვა ბირჟებზე და სხვა მომხმარებლებზე (შემდგომში - „მომხმარებლები“), რომლებიც ბირჟისგან იღებენ ფასიან სერვისებს.

მუხლი 2. ფასწარმოქმნის ძირითადი პრინციპები

ბირჟის სერვისების ფასწარმოქმნის ფუნდამენტული პრინციპებია სამართლიანობა და არადისკრიმინაციულობა. ამასთან, „სამართლიანი“ არ ნიშნავს „თანაბარს“ - ბიზნესის ყოველდღიურ საქმიანობაში ნორმალურია გარკვეული განსხვავება მომსახურების დროსა და ხარისხში.

სერვისების სხვადასხვა დონის შეთავაზება მისაღებია არადისკრიმინაციულობის პრინციპის დაცვით. სერვისების სხვადასხვა დონეების არსებობა უნდა იყოს გამჟღავნებული ყველა არსებულ თუ პოტენციურ მომხმარებლთან. პრემიუმ დონისა და ხარისხის სერვისები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასთვის, ვინც თანახმაა ასეთ სერვისში საკომისიო გადაიხადოს. განსხვავებული ტარიფების დაწესება მომხმარებლის მიერ მიღებული სარგებლის პროპორციულად არ არღვევს სამართლიანობისა და არადისკრიმინაციულობის პრინციპებს.

მუხლი 3. ტარიფების დადგენა

ბირჟაზე სერვისების ტარიფების დადგენისას გადაწყვეტილების მიმღები პირები ხელმძღვანელობენ მოგების მიზნით შექმნილი კომერციული ორგანიზაციის პრინციპებით, არსებულ საინვესტიციო გარემოს და საფონდო ბაზარზე აქტივობის გათვალისწინებით. ერთის მხრივ, სერვისების ფასები უნდა განისაზღვროს იმგვარად, რომ მიღებულმა შემოსავლებმა დაფაროს კომპანიის ხარჯები და ქმნიდეს საკმარის უკუგებას ინვესტირებულ კაპიტალზე, მე-2 მუხლში დასახელებული ფუნდამენტური პრინციპების გათვალისწინებით. მეორეს მხრივ, ტარიფები უნდა იყოს კონკურენტული და არ უნდა იყოს შემაფერხებელი საფონდო ბაზრის განვითარებისთვის, ემიტენტებისა და ინვესტორების მოზიდვისთვის.

ტარიფების გაანგარიშება ეყრდნობა ბირჟის მიერ შემუშავებულ სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ფასწარმოქმნის მეთოდოლოგიას (შემდგომში - „მეთოდოლოგიას“), რომელიც წინამდებარე პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია (იხ. დანართი №1).

სერვისების თვითღირებულების გასაანგარიშებლად, მეთოდოლოგიით განისაზღვრება საბირჟო სერვისების თვითღირებულება და „ხარჯებს პლუს“ მეთოდით დაითვლება პროდუქტების საორიენტაციო ფასი. ყოველი წლის დასაწყისში გადაიხედება სერვისების მიერ წინა წლის განმავლობაში ფაქტობრივად მიკუთვნებული ხარჯები და საპროგნოზო მაჩვენებლებზე დაყრდნობით დაითვლება მომდევნო წლის საორიენტაციო მაჩვენებლები. მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში მმართველი ორგანოები ხარჯების ცვლილების ღონისძიებებთან ერთად განიხილავენ ტარიფების გადახედვის შესაძლებლობასაც.

მუხლი 4. მეთოდოლოგიიდან გადახვევა

ზემოთ აღწერილი მეთოდოლოგია მოქმედია მხოლოდ ბირჟის მიერ ნულოვანი მოგების ზღვარის გადალახვის შემთხვევაში, როგორც ფაქტობრივი, ასევე საპროგნოზო მაჩვენებლებით. თუ ბირჟის მიმდინარე აქტივობების დონე არ იძლევა ხარჯების დაფარვის და ნულოვანი მოგების მიღწევის საშუალებას, ფასების (ტარიფების) კონკურენტულობის შენარჩუნების და ინვესტორების მოზიდვის მიზნით, ბირჟის მმართველი ორგანოები იტოვებენ უფლებას, დააწესონ ან ძალაში დატოვონ თვითღირებულებაზე დაბალი ტარიფები. ამასთან ბირჟას უტოვებენ უფლებას, მომგებიან საოპერაციო პერიოდებში აინაზღაუროს წინა პერიოდების ზარალები.

მუხლი 5. პოლიტიკაში ცვლილებების და დამატებების შეტანა

წინამდებარე პოლიტიკაში და მეთოდოლოგიაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლოა განხორციელდეს ბირჟის გენერალური დირექტორის ინიციატივით და ბირჟის სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობით.

მუხლი 6. გარდამავალი დებულებები

წინამდებარე პოლიტიკის დამტკიცების დროს ბირჟაზე მოქმედებს 2015 წლის 4 დეკემბრით, 2017 წლის 31 ივლისით და 2018 წლის 26 აპრილით დამტკიცებული ტარიფები, რაც შესაბამისობაშია მე-4 მუხლის დათქმებთან, ხარჯების მიმდინარე ანალიზის საფუძველზე.

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ ფასწარმოქმნის მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ (შემდგომში - „ბირჟა“) ფასწარმოქმნის მეთოდოლოგია (შემდგომში - „მეთოდოლოგია“) წარმოადგენს ბირჟის სერვისების ტარიფების გაანგარიშების სახელმძღვანელოს. მეთოდოლოგია შემუშავებულია იმგვარად, რომ გამოირიცხოს დისკრიმინაციული დამოკიდებულება ბირჟის სახვადასხვა მონაწილეების მიმართ, იყოს გამჭვირვალე და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი სერვისების კროს-სუბსიდირება.

წინამდებარე მეთოდოლოგიით სერვისების მიერ მიკუთვნებული ხარჯები და თვითღირებულებები გადაიანგარიშება ყოველი წლის დასაწყისში. ამავე მეთოდოლოგიით გაიანგარიშება სერვისების საპროგნოზო თვითღირებულება.

ტარიფების დადგენისას ბირჟა ხელმძღვანელობს „ხარჯებს პლუს“ მეთოდით, სადაც ფიგურირებს როგორც სერვისის თვითღირებულება, ასევე ბირჟის მოგების ელემენტიც. მოგების ელემენტის კალიბრაცია ხდება იმგვარად, რომ მინიმუმზე იყოს დაყვანილი ფასების (ტარიფების) ყოველწლიური ვარიაცია, მომგებიან პერიოდებში ანაზღაურდეს წინა პერიოდების ზარალები, ამასთან შენარჩუნებულ იქნას კონკურენტულობა და არ შეფერხდეს საინვესტიციო გარემოს განვითარება.

მუხლი 2. მეთოდოლოგიის შერჩევა

მაღალი ზედნადების ხარჯების მქონე სერვის-ორგანიზაციების შემთხვევაში, კროს-სუბსიდირების თავიდან არიდების მიზნით, ხარჯების ალოკაციის ABC, ანუ აქტივობებზე-დაფუძნებული ხარჯების განაწილების მეთოდი უაღტერნატივოა. ვინაიდან ბირჟის ხარჯების 100% წარმოადგენს ზედნადებ ხარჯებს, წინამდებარე მეთოდოლოგიის ჩარჩო აგებულია ABC მეთოდზე.

მუხლი 3. მეთოდოლოგიის აღწერა

ABC მეთოდი იწყება კომპანიის რესურსების ანალიზით. რესურსი არის ერთგვაროვანი ხარჯების კალათა. ხარჯების ალოკაციის მიზნით რესურსები, ხშირ შემთხვევაში, ჯგუფდება ბუღალტრული პრინციპებისგან განსხვავებით - სხვადასხვა ხარჯები გაერთიანდება ერთიან კალათში, ან ხარჯის ერთიან ანგარიშზე აღრიცხული თანხა დაიყოფა რამდენიმე კალათად, აქტივობებზე მათი განაწილების შესაბამისად.

რესურსების იდენტიფიცირების შემდგომ ხდება აქტივობების კალათების იდენტიფიცირება შემდეგ ჯგუფებად:

(ა) საწარმოო ზედნადები ხარჯები - უშუალოდ სერვისის გაწევის პროცესში ჩართული სამუშაო ძალის ანაზღაურება, რომლის შუალედურ აქტივობებზე ალოცირება არ არის საჭირო და პირდაპირ მიეკუთვნება საბოლოო სერვისებს შესაბამისი ალოკაციის ბაზით;

(ბ) აქტივობები, რომლებსაც ადგილი აქვს კომპანიაში საბოლოო სერვისის შექმნის პროცესში. ამ აქტივობებზე ჯერ ხდება ხარჯების (რესურსების) მიკუთვნება, შემდეგ კი ალოცირების ბაზაზე დაყრდნობით აქტივობის ხარჯის კალათის გადანაწილება საბოლოო პროდუქტებზე;

(გ) შუალედური პროცესები, რაც აუცილებელია კომპანიის საქმიანობისთვის, თუმცა საბოლოო პროდუქტებზე ალოკაციამდე თავად მიიკუთვნებენ სხვადასხვა აქტივობებიდან ხარჯებს;

(დ) ადმინისტრაციული ხარჯები (კორპორატიული ხარჯების ჯგუფი) - შუალედური პროცესების მსგავსად, ამ კალათში თავმოყრილია როგორც ძირითადი რესურსების ხარჯის ნაწილი, ასევე სხვა რესურსებიდან ალოცირებული ხარჯები.

რესურსების ანალიზის მიზანია მათი განაწილება ძირითადი აქტივობების კალათებში. ამგვარად შედეგნილი აქტივობების ხარჯის კალათები უნდა გადანაწილდეს კომპანიის საბოლოო სერვისებზე, შუალედურ პროცესებზე და/ან კორპორაციული ხარჯების კალათაზე. თავს მხრივ შუალედურ პროცესებსა და კორპორაციული ხარჯების კალათაზე ალოცირებული ხარჯები რეციპროკალური ან პირდაპირი მეთოდით გადანაწილდება საბოლოო სერვისებზე. აქტივობების კალათში თავმოყრილ რესურსებს უნდა ჰქონდეთ საერთო განაწილების ბაზა, მაგალითად, კაც/საათები, თანამშრომელთა რაოდენობა, დაკავებული ფართობი და ა. შ.

აქტივობის ხარჯის კალათები ნაწილდება შემდეგი პრინციპებით:

(ა) საწარმოო ზედნადები ხარჯების კალათები (კლირინგის ხარჯის ჩათვლით) პირდაპირ ნაწილდება სერვისებზე და შუალედურ პროცეს(ებ)ზე;

(ბ) სხვა ზედნადები ხარჯები, გარდა კორპორატიული ხარჯებისა (მაგალითად, ძირითადი საშუალებების მოხმარება და ოფისით სარგებლობის ხარჯები), როგორც აქტივობა, ნაწილდება სერვისებზე, შუალედურ პროცესებზე და/ან კორპორაციული ხარჯების კალათაზე;

(გ) შუალედური პროცესების ხარჯების კალათა ნაწილდება საბოლოო სერვისებზე;

(დ) ერთობლივი ხარჯები, რომლებიც წარმოიშობა სერვისების გაყოფის წერტილამდე (მაგალითად, სავაჭრო პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯის კალათა), ალოცირდება საბოლოო სერვისებზე sales-value at split-off მეთოდით, ძირითადი სერვისებით მიღებული შემოსავლების პროპორციულად. ასეთი ხარჯების ალოკაცია არ მოხდება გვერდით პროდუქტებზე;

(ე) კორპორატიული ხარჯების კალათაში თავმოყრილია ისეთი ხარჯები (მაგალითად, ადმინისტრაციული ხარჯები), რომელთათვისაც ვერ ხერხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირის მქონე ალოკაციის ბაზის მოძებნა. ასეთი ხარჯები მიეკუთვნება სერვისებს მათ მიერ გენერირებული შემოსავლების პროპორციულად, რაც პასუხობს ალოკაციის ბაზის შერჩევის მეორე კრიტერიუმს - მიღებულ სარგებელს.

სერვისები, რომლებიც მიეკუთვნებენ ხარჯებს, თავის მხრივ განიხილება შემდეგ ჭრილში:

(ა) საბოლოო სერვისები - ბირჟის ძირითადი პროდუქტები, რომელთა შექმნა წარმოადგენს კომპანიის ფუნქციონირების მიზანს და რომელშიც მომხმარებელი მზად არის გადაიხადოს საფასური;

(ბ) გვერდითი პროდუქტები - მეორადი პროდუქტები, რომელთა შექმნა არ იყო კომპანიის მიზანი, მაგრამ ქმნის ღირებულებას და აგენერირებს შემოსავალს;

(გ) უფასო სერვისები - სხვა მომსახურება, რომლის დაგენერირება მცირე ხარჯებთან არის დაკავშირებული და კომპანიას ურჩევნია, არ მოითხოვოს სერვისის მომხმარებლებისგან მისი ანაზღაურება.

სრული პროცესის გავლის შედეგად რესურსები სრულად მიეკუთვნება ბირჟის სერვისებს.

მუხლი 4. ერთეული სერვისის ფასდადება

სერვისების ჯგუფებზე მიკუთვნებული როგორც ფაქტიური, ასევე საპროგნოზო ხარჯების გაანგარიშების საფუძველზე ბირჟამ დისკრეციულად უნდა გადაწყვიტოს, ახდენს თუ არა ხარჯების განაწილებას სერვისის ერთეულზე ერთგვაროვანი ტარიფით, მომხმარებლის მიერ მიღებული სარგებლის პროპორციულად, თუ ამ ორი მეთოდის ჰიბრიდით (კომბინაციით). განაწილების არცერთი მეთოდი არ ეწინააღმდეგება „სამართლიანობის“ ფუნდამენტურ პრინციპს და აღიარებულია არადისკრიმინაციულად.